საქართველოს კარიტასი

ირჩევს სიცოცხლეს

წლიური ანგარიში 2009

caritas

caritas

სარჩევი

“საქართველოს კარიტასის” პრეზიდენტის სიტყვა 3

“საქართველოს კარიტასის” დირექტორის, პადრე ვიტოლდ შულჩინსკის შესავალი სიტყვა 4

სტრუქტურული ცვლილებები

სოციალურ-სამედიცინო პროგრამა

ახალგაზრდული პროგრამა

საგანგებო სიტუაციის პროგრამა

განვითარების პროგრამა



“საქართველოს კარიტასის” პრეზიდენტის სიტყვა

რაოდენ სასიამოვნოა სამადლობელო სიტყვის მოსმენა! როცა ვინმე მადლობას გვიხდის, ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ სწორად ჩასწვდა ჩვენი ქმედების არსს! თუმცა, მიღებაზე მეტად სასიამოვნო მადლობის მოსმენაა, სხვისი სიკეთის დანახვა ხომ სიხარულის ერთადერთი, განსაკუთრებული, გულწრფელი და ჭეშმარიტი წყაროა! დიახ! მაშინაც კი, როცა მადლობას ვიხდით, არსებითია ფრაზა: "გაცემა უფრო მეტი სიხარულის მომგვრელია, ვიდრე მიღება".

მთელი "საქართველოს კარიტასის" სახელით, მსურს ორიოდე სიტყვით გამოვხატო ჩვენი გულწრფელი სიხარული, ვინაიდან ამ წელსაც შეგვიძლია გითხრათ - მადლობა! "საქართველოს კარიტასს", კარგად აქვს გათვითცნობიერებული თუ რამდენი რამის გაკეთება გახდა შესაძლებელი 2009 წელს მიღებული შემოწირულობების წყალობით. აქ, ამ ჩვენ ქართულ მიწაზე, უპოვართათვის განხორციელებული პროექტების წარდგენისას, კიდევ ერთხელ გაგაოცებთ სხვადასხვა ასოციაციების, ადამიანებისა თუ ქვეყნების მიერ გაღებული წვლილი, რომელიც ხშირად მოულოდნელი და სასიამოვნო სიურპრიზიც ყოფილა, რაც შემდგომში "საქართველოს კარიტასის" გულმოდგინე და დაუზარელი შრომით კონკრეტულ ინიციატივებად გარდაქმნილა. ბენეფიციართა სახელითაც, "საქართველოს კარიტასი" უღრმეს მადლობას უხდის ყველას, ვინც დიდი სიყვარულით სოლიდარობა გამოხატა ღარიბების მიმართ.

ვისაც არ უნდა ჩაუვარდეს ხელთ (ვინც არ უნდა წაიკითხოს) ეს ბროშურა, ამ ფურცლებში ის მხოლოდ იმ სიყვარულს იპოვის, რომლის ძალაც უსაზღვროა და უკვალოდ არასოდეს ქრება, რომელიც ადამიანებს იდეალის ირგვლივ აერთიანებს და სიცოცხლის დაწყების, მხარდაჭერისა და განახლების კონკრეტულ საშუალებად იქცევა.

გულითადი მადლობა ყველას, ვისაც მცირედი წვლილი მაინც შეუტანია, რომ ამ ბროშურაში მოთხრობილი ამბავი, სიხარულის წყაროდ ქცეულიყო.

ჯუზეპე პაზოტო

“საქართველოს კარიტასის” დირექტორის, პადრე ვიტოლდ შულჩინსკის შესავალი სიტყვა

ძვირფასო მეგობრებო,

ჩვენი მსახურების ყოველი წლის დასასრულს, აღარ მახსოვს მერამდენედ მომიწია ”საქართველოს კარიტასის” წლიური ანგარიშის შესავალი სიტყვა დამეწერა. “მსახურებას” იმიტომ ვწერ, რომ რაც უფრო მეტ ხანს ვმუშაობ კარიტასში, სულ უფრო და უფრო ვხვდები, რომ ის რასაც ჩვენ ვაკეთებთ, უპოვართა მსახურებაა. ამ სიტყვას, ხშირად იყენებს რომის პაპი, ბენედიქტ XVI თავის ენციკლიკაში: “ღმერთი სიყვარულია” (Eus Caritas Est). ხშირად მაგონდება მისი სიტყვები, რომელიც ჩვენთვის, მოწყალების მსახურთათვის ძირითადი მიმართულება უნდა იყოს.

ბოლო თვეებში, “საქართველოს კარიტასმა”, თავისი ყოველდღიური, ჩვეული მსახურებისა გარდა (იძულებით გადაადგილებულ პირთა, უპოვართა, მიწისძვრით დაზარალებული მოსახლეობის საკეთილდღეოდ), დიდი შრომა და ძალისხმევა გასწია რეორგანიზაციის პროცესში. “ევროპის კარიტასისა” და სხვათა დახმარებით, ძალ-ღონე არ დავიშურეთ, რათა ჩვენი ორგანიზაცია უფრო მეტად გამოცდილი გამხდარიყო. ვიცი, რომ ცვლილებებისა და რეორგანიზაციის პროცესი ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ვფიქრობ არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ კარიტასმა ამ პროცესში, თავისი ადამიანური და ეკლესიური მხარე, საკუთარი სულიერება, გულისხმიერება და უპოვრებისადმი სიყვარული არ დაკარგოს. ყველაფერი ის რასაც ამ 16 წლიანი მსახურებისას დიდი სიყვარულით ვუვლიდით და ის რასაც წმინდა მამა “ჰუმანურობას” (DCE 6. 31) უწოდებს. წმინდა მამა თავის ენციკლიკაში წერს: “პროფესიული კონპეტენცია უპირველესი აუცილებლობაა, თუმცა მხოლოდ ის არ კმარა. საუბარი ხომ ადამიანებს ეხება, ადამიანს კი ყოველთვის ტექნიკურად სწორ მკუნალობაზე უფრო მეტი ესაჭიროება, ადამიანს ადამიანურობა და გულითადი ყურადღება სჭირდება (DCE 6. 31) და აქვე დასძენს: “პროფესიული მომზადების გარდა, ამ პირებს აუცილებლად სჭირდებათ ასევე “გულით მომზადება” (DCE 6. 31)....ნება მიბოძეთ წმინდა მამის კიდევ ერთი ფრაზა მოვიყვანო: “ქრისტიანული საქველმოქმედო საქმიანობა ... იმ სიყვარულის ხორცშესხმაა, რომელიც ადამიანს სულ მუდამ სჭირდება” (DCE 6. 31). დიახ, სიყვარული ყველას გვჭირდება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ უპოვრებს, სნეულებს, მიუსაფრებს, დევნილებს, ქუჩის ბავშვებს ყველაზე მეტად, განსაკუთრებულად სჭირდებათ იგი... სიყვარულის გარეშე ხომ ცხოვრება შეუძლებელია.

ძვირფასო მეგობრებო, მინდა უღრმესი მადლობა გადაგიხადოთ სოლიდარობისთვის, მცირე თუ დიდი შემოწირულობებისთვის, “შორეულ მანძილზე გაშვილების”

პროექტის მხარდაჭერისთვის, საკვები პროდუქტებისთვის, ტანსაცმლისთვის, ჩვენი საცხობის, სადურგლო სკოლისთვის უსასყიდლოდ გაღებული დანადგარებისთვის, ლითონის ფირფიტებისთვის, რომელიც კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების სახურავების შესაკეთებლად გამოვიყენეთ. იმ დახმარებისთვის, რომელიც ამ წლების განმავლობაში მივიღეთ და რომელსაც დღემდე ვღებულობთ, კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ყველას! გულითად მადლობას გიხდით, რადგან ამ კონკრეტული ქმდებების უკან, თქვენს "ჰუმანურობას" ვხედავთ, თქვენს "გულს რომელიც ხედავს", როგორც წმინდა მამა წერს. თექვსმეტი წელია რაც "კარიტასში„ ვმუშაობ, ანუ მისი დაარსების დღიდან. ამ წლების განმავლობაში ბევრი რამ ვისწავლე და დღითიდღე ვსწავლობ. ჩვენ, "კარიტასის" თანამშრომლები, უნდა ვიყოთ "ნიშანი" უფლის მოყვასისადმი სიყვარულისა. ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ამ წლების მანძილზე არაერთხელ გამოვცადე თქვენი უანგარო სიყვარული უპოვრებისადმი, თქვენი გულისხმიერება, თავაზიანობა და ადამიანური სითბო, რომლის საოცარი უნარი შეგწევთ. სამწუხაროდ, დღესდღეობით ეს ადამიანური თვისებები ძალიან იშვიათია. არ ვიცი კიდევ რამდენი წელი მომცემს უფალი საშუალებას, "კარიტასის" მეშვეობით საქართველოში უპოვრებს ვემსახურო, მაგრამ სადაც არ უნდა წავიდე, არასდროს დამავიწყდება ის, რაც ამ წლების მანძილზე საკუთარ თავზე გამოვცადე. ძვირფასო მეგობრებო, არასდროს დავივიწყებ იმას, რაც ჩვენ მოგვიძღვენით, უპირველეს ყოვლისა კი დიდ რწმენას, დიდსულოვნებას, თავმდაბლობას, მეგობრობას, უანგარო სიყვარულსა და ნდობას. სამწუხაროდ დღევანდელ ქაოტურ სამყაროში, ეს თვისებები სულ უფრო იშვიათად გვხდება.

ჩვენ ადამიანებს, უნდა გვქონდეს "გული, რომელიც ხედავს თუ სად არის საჭირო სიყვარული და შესაბამისად მოქმედებს კიდეც" (DCE ნ. 31). ამ სიტყვებით, ძვირფასო მეგობრებო, მინდა მადლობა გადაგიხადოთ ვინაიდან თქვენი "გული ხედავს" და "შესაბამისად მოქმედებს".

დასასრულს, მსურს ჩემი მადლირება გამოვხატო "კარიტასის" ყველა თანამშრომლის მიმართ, მათი თავდაუზოგავი შრომისა და მსახურებისთვის, არა აქვს მნიშვნელობა რომელ პროექტში არიან ჩართულები, რა თანამდებობა უკავიათ და რამდენი წელია მუშაობენ. ბევრ თქვენგანთან წლებია ვთანამშრომლობ და როცა ვუყურებ, თუ როგორი თავდადებით ასრულებთ დაკისრებულ მოვალეობას, როგორი სითბოთი ეპყრობით უპოვრებს, ჩემთვის ჰუმანურობის მაგალითს წარმოადგენთ. ბევრი თქვენთაგანისთვის "კარიტასი", მხოლოდ სამუშაო ადგილი არ არის, არამედ გაცილებით მეტს ნიშნავს. ეს ის ადგილია სადაც, თქვენ ქრისტიანულ და ადამიანურ მოწოდებას ახორციელებთ. ძვირფასო თანამშრომლებო, უღრმესი მადლობა ყველას!

სტრუქტურული ცვლილებები

“საქართველოს კარიტასმა” 2009 წელი ახალი მართვის სისტემის დანერგვით დაიწყო. ახალი სტრუქტურა ჩამოყალიბდა ორგანიზაციაში და პასუხისმგებლობები მკაფიოდ გადანაწილდა. გამოიკვეთა ოთხი ძირითადი პროგრამა და მათი მმართველობითი ერთეულები. ესენია:



- სოციალურ-სამედიცინო და ჯანდაცვის პროგრამა
- ახალგაზრდული პროგრამა
- განვითარების პროგრამა
- საგანგებო სიტუაციის პროგრამა

მთავარი სიახლე „საქართველოს კარიტასის“ დეცენტრალიზაციაა. თითოეული პროგრამა ნაბიჯ-ნაბიჯ გადადის დამოუკიდებელ მუშაობაზე. თუ ადრე მათი თითოეული ნაბიჯი ცენტრალიზებული გადაწყვეტილების შედეგად ვითარდებოდა, დღეს ყველა პროგრამა თვითონ წყვეტს მუშაობის მიმართულებებს და დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს პროგრამის ფარგლებში მიმდინარე სიახლეების თუ ცვლილებების შეტანის შესახებ. პასუხისმგებლობის გადანაწილების და კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით დასავლეთ საქართველოში მიმდინარე პროექტებისათვის შეიქმნა ნაწილობრივ დამოუკიდებელი მმართველობითი ერთეული.

ასევე, არანაკლებ მნიშვნელოვანია მიმდინარე ფინანსური რეფორმა. ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლამ უფრო ეფექტური და მოქნილი გახადა სამუშაო პროცესი. ახალი ფინანსური პოლიტიკისა და პროცედურების გამოყენებით შესაძლებელი გახდა ინფორმაციის ოპერატიულ რეჟიმში დამუშავება.

„საქართველოს კარიტასს“ რეორგანიზაციული ცვლილებების განხორციელებისას, საფუძვლიანი დახმარება „ევროპის კარიტასმა“ აღმოუჩინა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით ამ პროცესში ჩართულ ყველა მონაწილეს.

სოციალურ-სამედიცინო პროგრამა

„საქართველოს კარიტასის“ სოციალურ-სამედიცინო პროგრამის მიზანია ჯანმრთელობის გაუმჯობესების და ფსიქო-სოციალური სტატუსის ამაღლების გზით გაუმჯობესდეს იმ ადამიანების ცხოვრების ხარისხი, რომლებსაც დროებით ან მუდმივად სჭირდებათ დახმარება. დაწყებული 1995 წლიდან „კარიტასის“ სამედიცინო ჯგუფი აფართოებდა თავის მოქმედების არეალს, მომსახურების სფეროს და დღეს აღნიშნული პროგრამა რამდენიმე ძირითადი მიმართულებით მოქმედებს.

- პირველადი ჯანდაცვა;
- რეაბილიტაცია;
- შინ-მოვლა;
- ჰუმანიტარული დახმარება;
- რეინტეგრაცია;
- თავშესაფარი.

პროგრამა ემსახურება საზოგადოების ყველაზე დაუცველ ფენებს, კერძოდ, ხანდაზმულებსა და უპოვრებს, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ პენსიონრებს, ინვალიდებს და უნარშეზღუდულ, საწოლს მიჯაჭვულ ადამიანებს, აფხაზეთიდან, სამაჩაბლოდან და ახალგორის და გორის რაიონიდან დევნილებს, აივ ინფიცირებულსა და შიდსით დაავადებულებს.

სოციალურ-სამედიცინო პროგრამა ასევე ზრუნავს სამედიცინო პერსონალის პროფესიულ გაძლიერებაზე. ამისათვის სისტემატურად ტარდება ტრენინგები ქართველი და უცხოელი სპეციალისტების მიერ. 2009 წლის განმავლობაში ექიმები და მედდები რეგულარულად ესწრებოდნენ პროფესიული გადამზადების სხვადასხვა ტრენინგსა თუ სემინარს. კერძოდ გაიარეს პროექტის ციკლის მართვა, შინ-მოვლის მენეჯმენტი, ადვოკატირება და ლობირება, პრეზენტაციის უნარები, ფსიქიატრია, პალიატიური მზრუნველობა, პრაქტიკული რჩევები სხვადასხვა დაავადებებთან დაკავშირებით და სხვა.

სამედიცინო პროგრამა მოიცავს აგრეთვე საგანმანათლებლო მოღვაწეობას, კერძოთ, იბეჭდება სახელმძღვანელოები პერსონალის, პაციენტების და მათი ოჯახის წევრებისათვის. სახელმძღვანელოებში აღწერილია დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პაციენტების მოვლის თანამედროვე მეთოდები, აგრეთვე ის საკითხები, რომლებიც ხშირად აინტერესებთ ზოგიერთი ქრონიკული დაავადებებით შეპყრობილ პაციენტებს.

პირველადი ჯანდაცვა

პირველადი ჯანდაცვის ფარგლებში „საქართველოს კარიტასი“ 3 პროექტს ახორციელებს. ესენია: ამბულატორია ქ. თბილისა და ქ. ქუთაისში და პირველადი ჯანდაცვის 5 სამედიცინო პუნქტი სამცხე-ჯავახეთის რეგიონში. პროექტები ემსახურება საქართველოს ყველაზე გაჭირვებულ მოსახლეობას, პირველადი ჯანდაცვის მომსახურების მიღების მიზნით. ბენეფიციარები ღებულობენ მაღალკვალიფიციური ექიმებისა და სპეციალისტების კონსულტაციას, დიაგნოსტიკური გამოკვლევა ხდება ელექტროკარდიოგრაფისა და ულტრასონოგრაფის საშუალებით, უტარდებათ სხვადასხვა სამედიცინო პროცედურები, საჭიროების შემთხვევაში ეძლევათ მათთვის აუცილებელი მედიკამენტები.

„საქართველოს კარიტასის“ პირველადი ჯანდაცვის პროექტები ხორციელდება სახელმწიფოში მომქმედი ყველა პროგრამების გათვალისწინებით და ასევე აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან და სამედიცინო დაწესებულებებთან.

2009 წლის განმავლობაში პირველადი ჯანდაცვის პროქტების ფარგლებში 2000-მდე გაჭირვებულ მოქალაქეს გაეწია სამედიცინო დახმარება.

რეაბილიტაცია

„საქართველოს კარიტასის“ სარეაბილიტაციო ცენტრი 2006 წლიდან ფუნქციონირებს. მისი მიზანია მოემსახუროს ქრონიკულ ან გამოჯანმრთელების ფაზაში მყოფ პაციენტებს მათი მდგომარეობის გაუმჯობესებაში სამკურნალო თუ პროფილაქტიკური პროცედურების მიწოდებით. ცენტრი აღჭურვილია თანამედროვე ფიზიოთერაპიული აპარატურით და ტრენაჟორებით. აქ ბენეფიციარებს საშუალება აქვთ მაღალხარისხოვანი სარეაბილიტაციო მომსახურეობა მიიღონ, კერძოდ ელექტროფორეზი, ულტრაფონოფორეზი, მაგნიტო და ლაზეროთერაპია, სამკურნალო და გამაჯანსაღებელი მასაჟი, ლიმფოდრენაჟი, კინეზოთერაპია და სხვა.

2009 წელს სარეაბილიტაციო კურსი დაახლოებით 1200-მა ბენეფიციარმა ჩაიტარა.

შინ-მოვლა

შინ-მოვლას ყველაზე უმწეო მოსახლეობის ბინაზე მომსახურებას, „საქართველოს კარიტასი“ უკვე 15 წელია წარმატებით ახორციელებს. წლების განმავლობაში შემუშავებული და გამოცდილი მეთოდოლოგიით მუშაობა ყოველწლიურად ფართოვდება. 2009 წელს თბილისის, ქუთაისის და ოზურგეთის შინ-მოვლის პროექტებს ქ. გორსა და მიმდებარე სოფლებში მომქმედი პროექტიც დაემატა, რომელიც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად ამოქმედდა. ბენეფიციართა რიცხვი ყოველწლიურად მატულობს. ესენი არიან სახლს და საწოლს მიჯაჭვული ადამიანები, რომლებსაც არ შეუძლიათ საკუთარი თავის მოვლა.

შინ-მოვლის სამსახური ითვალისწინებს ბენეფიციართათვის კომპლექსური დახმარების მიწოდებას: სამედიცინო და ფსიქო—სოციალურ დახმარებას, საშუამავლო მისიას და ადვოკატირებას, რაც მოიცავს პაციენტების დაკავშირებას არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციებთან, ინფორმირებას მათი უფლებებისა და შეღავათების შესახებ და დახმარებას კუთვნილი შეღავათებით სარგებლობის მიღებაში.

კვალიფიციური მედ-დებისა და სოციალური მუშაკების დახმარებით ბენეფიარები ყოველდღიურად იღებენ სამედიცინო და სანიტარულ-ჰიგიენურ მომსახურებას, ეუფლებიან საკუთარი თავის მოვლის უნარ-ჩვევებს, უზრუნველყოფილი არიან ცხელი სადილით. ხშირ შემთხვევაში, შინმოვლის სამხახურის ბენეფიციართა ურთიერთობა "კარიტასთან", მათი გარე სამყაროსთან ურთიერთობის ერთადერთი შესაძლებლობაა.

2009 წელს შინ-მოვლის პროექტებში დაახლოებით 500 პაციენტი იყო რეგისტრირებული.

ჰუმანიტარული დახმარება

მიუხედავად პარტნიორი ორგანიზაციების რჩევებისა და მათი მხრიდან დაფინანსების შეჩერებისა, „საქართველოს კარიტასი" არ წყვეტს ისეთი პირველადი დახმარების პროექტების ფუნქციონირებას, როგორიცაა უფასო სასადილოები. დღეს ისინი პრიორიტეტული და აუცილებელია, როგორიც იყო დაარსების პირველივე დღეს. სამწუხაროდ, საქართველოში უპოვართა რიცხვი კი არ კლებულობს, არამედ წლების განმავლობაში მატულობს. სასადილოები თბილისსა და ქუთაისში ემსახურება მოსახლეობის ყველაზე კრიტიკულ ჯგუფებს - მარტოხელა ხანდაზმულებს, ბავშვებს, მიუსაფრებს, უპოვრებსა და გაჭირვებულ მრავალშვილიან ოჯახებს, რომლებიც უკიდურესად გაჭირვებულ პირობებში ცხოვრობენ.

სასადილოებში ბენეფიციარებს ყოველდღიურად ეძლევათ ცხელი სადილი, ხოლო შაბათ-კვირას დამატებითი ულუფა, პურისა და სხვადასხვა მშრალი რაციონის სახით.

რეინტეგრაცია

ადამიანების ცხოვრებაში საკვებით და სამედიცინო დახმარების გარდა არანაკლებ მნიშვნელოვანია თანადგომა და მათი საზოგადოებაში ინტეგრაცია. ამ მიმართულებით საქართველოს კარიტასში პროექტი „ჰარმონია" ხორციელდება, რომლის მიზანია საზოგადოებისგან იზოლირებული ადამიანების რეინტეგრაცია, მათი გამოცდილების გამოყენება და თაობებთა შორის ურთიერთკავშირის დამყარება.

პროექტი „ჰარმონია" 2006 წლიდან მუშაობს და ყოველდღიურად ათეულობით ხანდაზმულ ადამიანს მასპინძლობს. ბენეფიციარებს საშუალება აქვთ ელემენტარული ადამიანური ურთიერთობის, ერთად აწყობენ სხვადასხვა ღონისძიებებსა თუ

საღამოებს, ესწრებიან სხვადასხვა წრეებს. მათთვის ეწყობა ექსკურსიები, გასვლები თეატრებში, კინოში, მუზეუმებსა და გამოფენებზე. ასევე საშუალება აქვთ გაიარონ ექიმების, ფსიქოლოგის და იურისტის კონსულტაციები. ცენტრის სტუმრებისთვის ხელმისაწვდომია პირველადი ჯანდაცვის და რეაბილიტაციის ცენტრის სერვისები. მნიშვნელოვანია აგრეთვე ისიც, რომ ცენტრში მათთვის პირადი ჰიგიენის დაცვის პირობებიც არის შექმნილი. ბენეფიციარებს შეუძლიათ მიიღონ შხაპი.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის სამუშაო, რომელსაც "კარიტასი" ახორციელებს ხანდაზმულებისა და ბავშვების ურთიერთობის განვითარებისათვის. ეს ურთიერთობა უკიდურესად სასარგებლოა ბენეფიციარების ორივე ჯგუფისათვის, ვინაიდან იგი ხელს უწყობს როგორც ბავშვების, ასევე ხანდაზმულების ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციას და საზოგადოებაში რეინტეგრაციას.

2009 წლის განმავლობაში პროექტში რეგისტრირებული იყო 50-მდე ხანდაზმული ადამიანი.

თავშესაფარი

ბათუმის მიუსაფართა თავშესაფარი "მეგობარი გული" ერთადერთია ქ. ბათუმში და ამიტომაც მასზე მითხოვნა ძალიან დიდია. თავშესაფარი ზრუნავს უსახლკარო, მიუსაფარ მოსახლეობაზე, რომელსაც ძირითადად ღია ცის ქვეშ უწევს ღამისთევა. ბენეფიციარებს საშუალება ეძლევათ ღამე გაატარონ კომფორტულ გარემოში,

სადაც საშუალება აქვს ყოველდღიურად მიიღონ ნოყიერი საკვები, რომელსაც წლების განმავლობაში ლუთერანული ეკლესია უზრუნველყოფს.

ამასთანავე, პროექტი „იმედის სახლი“ თავშესაფრის ბენეფიცირებს ეხმარება მიატოვონ მავნე ჩვევები და შეძლებისდაგვარად მისცეს დასაქმების საშუალება. ხელვაჩაურის რაიონში მდებარე პატარა სახლი მათი საცხოვრებელი ადგილია. აქ ბენეფიციარებს საშუალება აქვს იმუშაონ სათბურებსა და ხილის ბაღებში და ფიზიკური შრომის დახმარებით დაძლიონ ალკოჰოლისა ან ნარკოტიკების მიმართ სწრაფვა.

2009 წლის განმავლობაში თავშესაფარს ყოველდღიურად 25-30 კაცი სტუმრობდა. ხოლო „იმედის სახლში“ 8 ახალგაზრდა ცხოვრობს.

აღსანიშნია, თბილისის თავშესაფარი, რომელიც “საქართველოს კარიტასმა“ ააშენა და 1999 წელს საზეიმოდ გახსნა რომის პაპმა იოანე პავლე მეორემ. მართალია დღესდღეობით თავშესაფარს განკარგავს დედა ტერაზას ორდენი, მაგრამ „საქართველოს კარიტასი“ მუდმივად ეხმარება მონაზვნებს სხვადასხვა ტექნიკური პრობლემების მოგვარებაში, უნაწილებს საკვებ პროდუქტებს, რათა არ შეფერხდეს თავშესაფრის ფუნქციონირება, რომლის მომსახურებაც დღევანდელი საქართველოსთვის ძალიან აქტუალურია.

ახალგაზრდული პროგრამა

”საქართველოს კარიტასის” ახალგაზრდული პროგრამა მიზნად ისახავს სოციალურად დაუცველი ბავშვებისა და ახალგაზრდების სრულყოფილი განვითარებისათვის ხელშემწყობი გარემოს შექმნას, სოციალურ დაცვას და მათ საზოგადოებაში ინტეგრაციას. ამ მიზნის მისაღწევად “საქართველოს კარიტასი“ ოთხი ძირითადი მიმართულებით მუშაობს:



- ზოგადი განათლება და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია;
- პროფესიული განათლება და ხელოვნებით თერაპია;
- თავშესაფარი;
- მუშაობა ქუჩის ბავშვებთან.

დაწყებული 1997 წლიდან „საქართველოს კარიტასი“ ადგილზე, ბენეფიციარებთან მუშაობის შედეგად გამოვლენილი მოთხოვნილებებისა და უცხოელი კონსულტანტების რჩევების გათვალისწინებით ნაბიჯ-ნაბიჯ ხვეწდა ბენეფიციარებთან მუშაობის სხვადასხვა მეთოდებსა და ხერხებს. დღესდღეისობით „საქართველოს კარიტასის“ ახალგაზრდულ პროგრამაში ჩართულ თითოეულ ბავშვსა თუ ახალგაზრდას განათლებისა და პროფესიული ზრდის, საზოგადოების სრულუფლებიან წევრად აღიარების და ინტეგრაციის საშუალება აქვს.

„საქართველოს კარიტასის“ ახალგაზრდული პროგრამის ბენეფიციარები არიან 6-დან 18 წლამდე მზრუნველობამოკლებული, მიუსაფარი (ე.წ. ქუჩის ბავშვები) და რთული ქცევის ბავშვები, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების ბავშვები, იძულებით გადადგილებული ოჯახების, ფსიქოლოგიური ტრავმის შედეგად დაზარალებული და ძალადობის მსხვერპლი ბავშვები...

2009 წლის განმავლობაში „საქართველოს კარიტასის“ ახალგაზრდული პროგრამის ფარგლებში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში 16 პროექტი განხორციელდა. ამავე წელს კათოლიკური სამრევლოების უმწეო ოჯახების 2228 ბავშვმა საშობაო საჩუქარი მიიღო.

ზოგადი განათლება და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია

გასულ 2009 წელს ახალგაზრდული პროგრამის ფარგლებში 4 ახალგაზრდული სარეაბილიტაციო ცენტრი განხორციელდა - თბილისში, ქუთაისში, გორსა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მდებარე სოფელ არალში.

ახალგაზრდული სარეაბილიტაციო ცენტრების მთავარი მიზანია ბავშვების ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია ინსტიტუციონალიზაციის პრევენციის მიზნით და ზოგადი თუ დამატებითი განათლების მიწოდება.

ახალგაზრდულ ცენტრებში ბენეფიციარები უზრუნველყოფილი იყვნენ საკვებით და ფსიქოლოგიური დახმარებით. ბავშვები იღებდნენ დამატებით და პროფესიულ განათლებას. კერძოდ, ესწრებოდნენ სიმღერის, ქართული ნაციონალური ცეკვისა და დრამატულ წრეებს, მონაწილეობდნენ თოჯინების თეატრის მუშაობაში. ბავშვებს მიეცათ ინგლისური და იტალიური ენების შესწავლის საშუალება. შეიძინეს კომპიუტერთან მუშაობის უნარ-ჩვევები.

2009 წლის განმავლობაში სარეაბილიტაციო ცენტრებმა მთლიანობაში 450 ბავშვს უმასპინძლა.

ახალგაზრდული საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო ცენტრები კომპლექსურად ზრუნავს ბენეფიციართა როგორც სულიერ, ასევე ფიზიკურ აღზრდასა და განვითარებაზე. სასიცოცხლო, აკადემიური და ფუნქციური უნარების განვითარება მომავალში ხელს შეუწყობს ბავშვებისა და ახალგაზრდების დამოუკიდებელ და ჯანსაღ ცხოვრებას.

SAMSUNG

პროფესიული განათლება და ხელოვნებით თერაპია

ხელოვნებით თერაპია ითვალისწინებს ბავშვებისა და ახალგაზრდების ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციას პროფესიული განათლების დაუფლების გზით. ამ მიმართულებით ახალგაზრდული პროგრამის ფარგლებში პროექტი „ხელოვნების სტუდია“ ფუნქციონირებს. სტუდიაში თავს იყრის სხვადასხვა სახელოსნო. კერძოდ: ტრადიციული ქსოვის (ფარდაგი, ხალიჩა), თექის, ტიხრული მინანქრის, ლითონის მხატვრული დამუშავების, ხეზე დეკორატიული კვეთის, კერამიკის, ლითონის ტრადიციული ჭედვის, იკონოკრაფიის სახელოსნოები და არქიტექტურისა და დიზაინის კლასი.

2009 წლის განმავლობაში ოთხჯერ მოეწყო ბავშვთა ნამუშევრების გამოფენები, სადაც მოხდა საუკეთესო ნამუშევრების გამოვლენა და მათი ავტორების წახალისება.

2009 წელს პროფესიულ სახელოსნოებში სხვადასხვა სპეციალობას 170 ბავშვი დაეუფლა.

თავშესაფარი მზრუნველობა მოკლებულ ბავშვთათვის

ბავშვთა პირველი თავშესაფარი “საქართველოს კარიტასმა“ 2000 წელს გახსნა, რომელმაც მოგვიანებით (პროექტი „ჩვენი სახლის“ სახელით) კარიტასის სახლში დაიდო ბინა. პროექტში „ჩვენი სახლი“ 30 ბავშვი ერთად ცხოვრობდა. თავშესაფრის მიზანია ოჯახური გარემოთი უზრუნველყოს და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მოამზადოს მზრუნველობამოკლებული და ყოფილი ქუჩის ბავშვები.

2009 წლის ბოლოს „საქართველოს კარიტასმა“სახელმწიფო პრიორიტეტებისა და პარტნიორი პოლონური ორგანიზაციის კონსულტაციების გათვალისწინებით გადაწყვიტა არსებული ბავშვთა თავშესაფრის ტრანსფორმაცია. შეიქმნა ორი მცირე საოჯახო ტიპის სახლი. პროექტი „ჩვენი სახლის“ 30 ბავშვი სამ ასაკობრივ ჯგუფად დაიყო: 16 ბავშვი „ჩვენი სახლის“ პროექტში დარჩა. დანარჩენი 14 ბავშვი ორი ახალი საოჯახო ტიპის სახლში გადანაწილდა (8 ბავშვი ერთ და 6 მეორეში). ახალი მოდელი უფრო მეტად არის მიახლოებული ოჯახურ გარემოსთან, სადაც მნიშვნელოვანია ბენეფიციარების რიცხობრივი სიმცირე. ბავშვები ჩართულნი არიან ყოველდღიურ ოჯახურ საქმიანობაში. უზრუნველყოფილი არიან კვებით, სამედიცინო მომსახურებით, ტანისამოსით და პირადი ჰიგიენისათვის აუცილებელი ნივთებით. თითოეულ ბენეფიციარ ბავშვზე შემუშავებულია ინდივიდუალური განვითარების გეგმა. აუცილებელია თითოეული ბავშვის სურვილების გამოვლენა და სასურველი უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით შესაბამისი აქტივობების შეთავაზება. ბავშვები ეუფლებიან სხვადასხვა პროფესიულ უნარ-ჩვევებს, სწავლობენ თავისუფალი დროის სწორ და მიზნობრივ ორგანიზებას, ჩართულნი არიან საგანმანათლებლო, კულტურულ და სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში. ამასთანავე ბავშვები სწავლობენ საკუთარი თავის მოვლას, საოჯახო საქმეს, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს მომავალი დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადებაში.

მუშაობა ქუჩის ბავშვებთან

„საქართველოს კარიტასმა“ ქუჩის ბავშვებთან მუშაობა ჯერ კიდევ 2007 წელს დაიწყო, პირველი მობილური

ჯგუფები, რომლებიც მოხალისეებისაგან იყო შემდგარი, ბავშვების თავშეყრის ადგილს სტუმრობდნენ და ადგილზე იკვლევდნენ მათ პრობლემებს. დღეს, ქუჩის ბავშვებთან კომლექსური მუშაობა მიმდინარეობს. ადგილზე მობილური მუშაობის გარდა, პარალელურად ფუნქციონირებს ღია ტიპის დღის ცენტრი. ცენტრში ქუჩის ბავშვებს საშუალება აქვთ მიიღონ ცხელი შხაპი, გაირეცხონ ტანისამოსი და ისადილონ.

ბავშვებთან ასევე მუშაობს ფსიქოლოგი, ცენტრში გახსნიალია ჭრა-კერვის, კომპიუტერის, ხეზე დეკორატიული კვეთისა და ქარგვის წრეები.

2009 წლის განმავლობაში კომლექსური დახმარება დაახლოებით 300 ბავშვმა მიიღო.

განვითარების პროგრამა

„საქართველოს კარიტასი“ განვითარების პროგრამის ფარგლებში ორ ძირითად მიმართულებას გამოყოფს. ესენია:

- გაჭირვებული მოსახლეობის მობილიზება, მათი გაწვრთნა, ახალი უნარ-ჩვევების განვითარება, რომელიც ხელს შეუწყობს საკუთარი პრობლემების გამომჟღავნებას და მათ გადაჭრას.
- შემოსავლიანი პროექტების ამოქმედება, რომელიც თავის მხრივ დაასაქმებს მოსახლეობას და „საქართველოს კარიტასის“ ჰუმანიტარულ საქმიანობას სტაბილურ შემოსავალს მოუტანს.



სათემო მობილიზაცია

2009 წელს „საქართველოს კარიტასმა“ დაასრულა 7 წლიანი პროექტი „წყალგაყვანილობის რეაბილიტაცია სამცხე-ჯავახეთის სოფლებში ადგილობრივ თემთა მობილიზაციის გზით“. პროექტმა გაიყვანა და შეაკეთა 22 სოფლის სასმელი და სარწყავი წყლის სისტემა. მთლიანობაში გაყვანილ იქნა 101 960 მეტრი წლის მილი, დაიდგა და დამონტაჟდა 600 კუბ.მეტრის მოცულობის ცხრა წყლის რეზერვუარი.

პროექტი ორ ფაზად განხორციელდა და ამ პროექტის შედეგად დღესდღეისობით სასმელი და სარწყავი წყლით დაახლოებით 8000 ოჯახი სარგებლობს, მათ მიეცათ საშუალება 722 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწა მორწყან და მოიყვანონ მოსავალი, რომელიც უწყლობის გამო ვერ მოჰყავდათ. პროექტი მნიშვნელოვანი იყო იმითაც, რომ მოსახლეობა აქტიურად იყო ჩაბმული პროექტის მუშაობის მთელ პროცესში. მათი მოხალისეობრივი ჩაბმულობა სასარგებლო იყო, როგორც უშუალო საქმიანობის, ასევე მოსახლეობის თვითდაჯერებულობისა და საკუთარ ძალებში დარწმუნების მხრივ.

შემოსავლიანი პროექტები

2009 წლის განმავლობაში „საქართველოს კარიტასის“ შემოსავლიანი პროექტები კვლავ აგრძელებენ მუშაობას. დაარსებიდან დღემდე “საქართველოს კარიტასმა“ ოთხი მომგებიანი პროექტი აამუშავა. ესენია:

- × პურის საცხობი/პიცერია „პანეტერია“, თბილისში;
- × საცხობი „ტრენტო“, ქუთაისში;
- × მცირე სამშენებლო ბლოკების საწარმო;
- × ავტოშემკეთებელი სახელოსნო „სან-ზენო“.

შემოსავლიანი პროექტების ძირითადი მიზანია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მცირე ბიზნეს პროექტების განხორციელება, საქველმოქმედო საქმიანობის მხარდაჭერა, სამუშაო ადგილების შექმნა და ახალგაზრდების გადამზადება.

მართალია, ზოგიერთი მათგანის მუშაობა ეკონომიურმა კრიზისმა და 2008 წლის რუსეთ საქართველოს შეიარაღებულმა კონფლიქმა შეაფერხა, მაგრამ მათ შესძლეს სტაბილურობის შენარჩუნება და ზარალი არ მიგვიღია.

2009 წელი წარმატებული აღმოჩნდა თბილისის პურის საცხობი/პიცერია „პანეტერიისთვის“, რომელმაც გასულ წლებთან შედარებით გაცილებით მეტი მოგება აჩვენა. ასევე დაიწყო ქალაქის ცენტრალურ უბანში ახალი პიცერიის რემონტი, რომელიც 2010 წელს გაიხსნება და უფრო მეტ შემოსავალს მოუტანს პროექტს.

საგანგებო სიტუაციის პროგრამა

2009 წელს „საქართველოს კარიტასი“ ჩვეული შემართებით განაგრძობს 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის შედეგად დაზარებული მოსახლეობის მხარდაჭერას. „კარიტასის“ მიერ გაწეული ჰუმანიტარული დახმარების ფარგლებში შენარჩუნდა ორი ძირითადი მიმართულება: საკვები და არასაკვები დახმარება და სამედიცინო და ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია.

2009 წლის განმავლობაში:

- ისნის რაიონის იძულებით გადაადგილებულ პირთა კოლექტიურ ცენტრში გაიხსნა უფასო სასადილო, სადაც ყოველდღიურად დაახლოებით 800 ადამიანი იღებდა ცხელ სადილსა და პურს;
- დაახლოებით 1100 ადამიანს ყოველდღიურად ურიგდებოდა პურ-ფუნთუშეული ნაწარმი;
- 430 ბავშვმა გაიარა სარეაბილიტაციო კურსი და მიიღო არაფორმალური განათლება;
- 1670 ადამიანს დაურიგდა ზამთრის ფეხსაცმელი;
- 1000 ოჯახმა მიიღო საჭირო საოჯახო ნივთები (გაზის ბალონი, ქვაბი, თეფშების კომპლექტი);
- გორის რაიონის 13 სოფელში 553 ოჯახს და 25 დაწესებულებას 1500 კბ.მ შეშა დაურიგდა;
- 116000 კგ. ფქვილი - 2320 ოჯახმა მიიღო;
- კონფლიქტის ზონაში არსებულ სოფელ ერგნეთის მოსახლეობას 4700 კვ.მ. გადასახური მასალა დაურიგდა;
- დარიგდა 15200კგ. მეორადი მოხმარების ტანისამოსი;
- განაწილდა 15 696 კგ. საკვები პროდუქტი;
- ოცმა დევნილმა ახალგაზრდამ თექისა და ტიხრული მინანქრის სპეციალობა შეისწავლა.

ჰუმანიტარული დახმარების პარალელურად 2009 წელს „საქართველოს კარიტასმა“ საგანგებო სიტუაციის პროგრამის ფარგლებში გრძელვადიანი განვითარებითი პროექტების განხორციელება დაიწყო.

გარემონტდა საბავშვო-ბაღი სოფელ „შავშვებში“, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის გარდა იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებაში მცხოვრებ ბავშვებს მოემსახურება. შენობა არა მარტო ბავშვებისთვისაა განკუთვნილი, იგი მოსახლეობის თავშეყრის და კოლექტიური ღონისძიებების ჩატარების ადგილიც იქნება.

იგივე მიზნით 2009 წლის ივნისში დაიწყო გორის რაიონში მდებარე ორი საბავშვო ბაღის მშენებლობა/რეაბილიტაცია. სოფელ ფლავში გარემონტდა ძველი საბავშვო ბაღის შენობა, რომელიც საფუძვლიან რეაბილიტაციას საჭიროებდა. „კარალეთის“ სახელით წოდებულ დევნილების დასახლების მახლობლად ქ. გორის წმინდაწყლის რაიონში დაიწყო ახალი საბავშვო-ბაღის მშენებლობა. ორივე შენობა 2010 წელს დასრულდება და საბოლოოდ 180 ბავშვს უმასპინძლებს.

აღსანიშნია, გერმანელი კონსულტანტ-არქიტექტორის სტუმრობა კარიტასის სამშენებლო პროეტებთან დაკავშირებით. მისი გამოცდილება და რჩევები დიდათ წაადგა "კარიტასის" საქმიანობაში ახალი ხერხებისა და მიმართულებების დანერგვას.

2009 წლის 8 სექტემბერს საქართველოს მაღალმთიან რეგიონში, რაჭა-ლეჩხუმის რაიონში 6 ბალიანი მიწისძვრა დაფიქსირდა. მიწისძვრის შედეგად დაზიანდა და დაინგრა უამრავი სახლი და ასობით ადამიანი უსახლკაროდ დარჩა. „საქართველოს კარიტასმა“ პირველივე დღეებში შესძლო ძალების მობილიზაცია და ღია ცის ქვეშ დარჩენილ მოსახლეობას მყისიერი დახმარების ხელი გაუწოდა. „კარიტასის“ გუნდმა ადგილზე ჩაიტანა და ადგილობრივ ხელისუფლებას გადასცა 200 კარავი და 462 საძილე ტომარა. ასევე, პოლონეთის საელჩოსთან ერთად „საქართველოს კარიტასმა“ დაზარალებულებს ადგილზე დაურიგა 80 საბავშვო საწოლი და ლეიბი. 2009 წელს დაიგეგმა მიწისძვრით დაზიანებული საბავშვო-ბაღის რეაბილიტაციის პროექტი, რომელიც 2010 წელს დაიწყება ქალაქ საჩხერეში (იმერეთის რაიონი).

საბანკო რეკვიზიტები
სს „ბანკი ქართუ“
მთაწმინდა-კრწანისის ფილიალი
ბ/კ 220101086
ა/ა №35733608

caritas

საქართველო, თბილისი 0183, 3ა ნუცუბიძის მკრ. II
ტელ/ფაქსი: +(995 32) 94 20 73; 25 13 87
ელ.ფოსტა: caritas-georgia@caritas.ge

www.caritas.ge